საბაკალავრო პროგრამა

საზოგადოებრივი ჯანდაცვა

პროგრამის სახელწოდება - საზოგადოებრივი ჯანდაცვა

განათლების საფეხური - ბაკალავრიატი

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი - საზოგადოებრივი ჯანდაცვის ბაკალავრი

პროგრამის მოცულობა - 240 ECTS კრედიტი (1 ECTS კრედიტი უდრის 30 საათს).

პროგრამის ხანგრძლივობა - 4 აკადემიური წელი (8 სემესტრი).

სწავლების ენა: ქართული

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

თსსუ-ის დეკლარირებული მისიისა და ქვეყნის/საზოგადოების ჯანმრთელობის დაცვის მოთხოვნილებათა შესაბამისად, მომზადდეს სათანადო კომპეტენციის მქონე სპეციალისტი, რომელსაც ექნება საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და პროფილაქტიკური მედიცინის სფეროში მუშაობისა და შემდგომი დახელოვნების შესაძლებლობა, რათა კვალიფიციურად შეასრულოს შესაბამისი ფუნქცია ჯანდაცვის სისტემაში. პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტის აღჭურვას ბაზისური ცოდნითა და პრაქტიკული უნარ-ჩვევებით შესაბამისი პროფილით საქმიანობის განსახორციელებლად.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

საქართველოს მოქალაქეებისთვის:

- სრული ზოგადი განათლების ატესტატი;
- ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები უნივერსიტეტის მიერ დადგენილი საგნების პრიორიტეტების, შესაბამისი კოეფიციენტების და კომპეტენციის ზღვარის გათვალისწინებით.

საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვა ასევე შესაძლებელია მობილობის წესით საქართველოს კანონმდებლობით და თსსუ-ის რეგულაციების შესაბამისად. უცხოეთის მოქალაქეები პროგრამაზე დაიშვებიან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განსაზღვრული წესით.

პროგრამაზე მიღების პირობები და მიღებასთან დაკავშირებული სხვა რელევანტური ინფორმაცია ყოველწლიურად თავსდება შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე, ცნობარსა და თსსუ-ის ვებგვერდზე.

სწავლის შედეგები

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეუძლია: სამეცნიერო

და სხვა სახის ინფორმაციის მოძიება, დამუშავება და გამოყენება, მონაცემების ინტერპრეტაცია, შესაბამისი პროფილის კომპლექსური პრობლემის იდენტიფიცირება და მისი გადაჭრისათვის მიღებული ცოდნისა და სათანადო მეთოდების გამოყენება; დაკვირვების შედეგად მტკიცებულებების დაგროვება, მტკიცებულებებზე დაფუძნებული მედიცინის პრინციპების, უნარ-ჩვევებისა და ცოდნის გამოყენება ახალი და განყენებული მონაცემების ანალიზისათვის; პროფილური, კლინიკური, ბიოსამედიცინო და ქცევითი მეცნიერებების ცოდნის ინტეგრაციით მოსახლეობისა და გარემოს ჯანმრთელობის მდგომარეობისშეფასება და საზოგადოებრივი ჯანდაცვის გაუმჯობესება; უწყვეტი სამედიცინო განათლებისა და პროფესიული განვითარების აუცილებლობის გაცნობიერება.

საბაკალავრო პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული იძენს საჭირო უნარებსა და კვალიფიკაციას, რათა სწავლა გააგრძელოს ჯერ სამაგისტროპროგრამებზე, ხოლო შემდგომ - დოქტორანტურაში. ამასთან, პროგრამაში დასახული კომპეტენციების თანმიმდევრული განვითარება ხელს უწყობს კურსდამთავრებულთა დასაქმებას საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სამსახურებში; აგრეთვე, საკუთრების სხვადასხვა ფორმის სამედიცინო, სამეცნიერო-კვლევით და სამრეწველო დაწესებულებებში და ორგანიზაციებში, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასთან, მათ მომსახურებასთან, მენეჯმენტთან და პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარებასთან.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

საბაკალავრო პროგრამით სწავლება დაფუძნებულია სტუდენტზე ორიენტირებულ მეთოდებზე და ითვალისწინებს სტუდენტის აქტიურ ჩართვას სასწავლო პროცესში. ამ მიზნით გამოიყენება: ინტერაქტიური ლექციები, სემინარები, კოლოქვიუმები; ლაბორტორიული სწავლება; სწავლება სიმულატორებისა და მულაჟების გამოყენებით, ჯგუფური მუშაობა, მონაცემთა ანალიზი, დისკუსია - დებატები, კლინიკურ გარემოში სწავლება; პრეზენტაციები; სამეცნიერო კვლევაში მონაწილეობა; სამუშაო პრაქტიკა.

სტუდენტთა მიერ პროფესიული კომპეტენციების ათვისება მიმდინარეობს პოტენციური დამსაქმებლის - საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სამსახურისა და საკუთრების სხვადასხვა ფორმის მქონე ორგანიზაციების წარმომადგენელთა თანამონაწილეობით.

საბაკალავრო პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსები სწავლების შესაბამისი ეტაპის ადეკვატურია. თითოეული მათგანი ეფუძნება სტუდენტის მიერ უკვე

მიღებულ ცოდნას და უნარებს და, მეორე მხრივ, წარმოადგენს წინაპირობას ”მემკვიდრე” სასწავლო კურსის ათვისებისთვის.

სასწავლო კურსები კურიკულუმში გათვალისწინებულია მემკვიდრეობითი პრინციპით, ავსებენ ურთიერთს და/ან თანმიმდევრულად მოსდევს ერთმანეთს პრინციპით”მარტივიდან-რთულისკენ”,ფუნდამენტურიდან-მაპროფილებელამდე. პრერეკვიზიტული და მემკვიდრე დისციპლინები პარალელურ რეჟიმში არ ისწავლება, მათ შორის - არც საგნის განმეორებითი მოსმენის დროს.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის სტუდენტთათვის სასწავლო პროგრამის ყველა კომპონენტი თანაბრად ხელმისაწვდომია. მათი ინდივიდური მისწრაფებებისა და შესაძლებლობების რეალიზების ერთ-ერთ ფორმად გამოყენებულია არჩევითი სასწავლო კურსები, რომლებიც განსაზღვრულია ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსით.

საბაკალავრო პროგრამა მოიცავს: ბიოსამედიცინო მეცნიერებათა, პრეკლინიკურ, კლინიკურ და პროფილურ სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებს. სასწავლო გეგმის მიხედვით I, II, III სემესტრებში სწავლება მიმდინარეობს სემესტრული სწავლებით, ხოლო IV, V, VI, VII, VIII სემესტრებში - კურაციული სისტემით. საბაკალავრო პროგრამა „საზოგადოებრივი ჯანდაცვა“ ითვალისწინებს საზოგადოებრივ ჯანდაცვაში უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელს და, შესაბამისად, ძირითადი სპეციალობისა და პროფესიული სპეციალიზაციის 180 კრედიტიდან 118 კრედიტს შეადგენს სავალდებულო სასწავლო კურსები, 34 კრედიტს - არჩევითი სასწავლო კურსები, 26 კრედიტს - „პრაქტიკული საოგადოებრივი ჯანდაცვა“ და 2 კრედიტს - პრაქტიკა პირველად ჯანდაცვაში; ხოლო ზოგადი კომპონენტის და კვლევის 60 კრედიტიდან 39 კრედიტი - სავალდებულო სასწავლო კურსებზე მოდის და 21 კრედიტი - არჩევით სასწავლო კურსებზე.

სტუდენტის ინდივიდური უნარებისა და მისწრაფებების გამოვლენისა და განვითარების შესაძლებლობას იძლევა სტუდენტთა პრეზენტაციები, რეფერატები, პროექტები, სასწავლო-კვლევითი და კვლევითი მუშაობა და სხვა საშუალებები. საბაზისო დისციპლინებში, შინაარსის და სპეციფიკის გათვალისწინებით, გამოყენებულია სამეცნიერო და პრაქტიკული უნარებისგანვითარების ხელშემწყობი საკითხები და სწავლების მეთოდები. უნარების განვითარების უზრუნველმყოფელი კომპონენტი რეალიზებულია სპეციალური კურსებით/თემებით, ხოლო სასწავლო კურსებში თემატურადგათვალისწინებულია პრაქტიკული უნარების შესწავლის და შეფასების კომპონენტები.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი შეესაბამება საქართველოში სათანადო მარეგულირებელი წესების და თსსუ-ის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მოთხოვნებს სტუდენტის მიღწევების შეფასების წესის შესახებ. ითვალისწინებს გამჭვირვალობასა და სამართლიანობას. სტუდენტის შეფასების კომპონენტებია შუალედური და დასკვნითი შეფასებები, რომელთა ჯამი განსაზღვრავს სტუდენტის საბოლოო შეფასებას.

სასწავლო კურსის/მოდულის მაქსიმალური შეფასება 100 ქულაა. ითვალისწინებს შუალედურ შეფასებას, რომელიც წარმოადგენს სასწავლო კურსის/მოდულის სილაბუსით გათვალისწინებული ცოდნის შეფასების მეთოდების/ნაწილების (დასწრება, სტუდენტის ყოველდღიური აქტივობა, კოლოკვიუმი, პრეზენტაცია და სხვა) მიხედვით მიღებულ ქულათა ჯამს 60 ქულის ფარგლებში და დასკვნითი გამოცდის შეფასებას 40 ქულის ფარგლებში.

შუალედური შეფასებების მეთოდები/ნაწილები, კრიტერიუმები და მათი წილი სხვადასხვა საგანში განსხვავებულია და შეესაბამება საგნის ეფექტური სწავლების ინტერესს. დასკვნით გამოცდაზე დაიშვება სტუდენტი, რომელსაც შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის მინიმალური დადებითი შეფასების ჯამით შეიძლება დაუგროვდეს 51 ქულა.

საგამოცდო საკითხები/ქვესაკითხები, რომლებისგანაც წარმოებულია საგამოცდო ტესტები/ბილეთები, სტუდენტებს ეცნობება წინასწარ. გამოცდა ჩაბარებულად ითვლება სტუდენტის მიერ მინიმუმ 20 ქულის (გამოცდის მაქსიმალური შეფასების 50% და მეტი) დაგროვების შემთხვევაში.

საგამოცდო შეფასების გაცნობიდან ერთი სამუშაო დღის ვადაში სტუდენტს აქვს ამ შეფასების გასაჩივრების უფლება, დადგენილი წესით. ძირითად და დამატებით გამოცდაზე გამოუცხადებლობის ან უარყოფითი შეფასების შემთხვევაში, სხვა კომპონენტებით დაგროვილი ქულების მიუხედავად, სტუდენტი კრედიტს ვერ იღებს.

საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტების გაანგარიშება და სტუდენტის მიღწევების შეფასება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების N3, 5.01.2007 შესაბამისად.

შეფასების სისტემა სტუდენტის მიერ მიღებული ყველა კომპონენტით ითვალისწინებს:ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი - 91-100 ქულა.

(B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა.

(C) კარგი - 71-80 ქულა.

(D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა.

(E) საკმარისი - 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდებადა ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

(F) ჩაიჭრა - 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ზემოთ მოცემული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

სტუდენტის ცოდნისა და უნარების შეფასება ითვალისწინებს როგორც თეორიული ცოდნის, ისე პრაქტიკული უნარების ათვისების ხარისხის ობიექტურ შეფასებას, რისთვისაც გამოიყენება ზეპირი, ტესტური და კომბინირებული გამოცდები, პრეზენტაციები და სხვა.

ცოდნის შეფასების სისტემა ხელმისაწვდომია სტუდენტთათვის საგნის შესწავლის დაწყებისთანავე (ეცნობებათ პირველივე ლექცია-პრაქტიკუმზე, ან განთავსებულია სასწავლო დეპარტამენტებში თვალსაჩინო ადგილას).

სწავლისთვის აუცილებელი მატერიალური რესურსი

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ბაკალავრის საგანმანათლებლო პროგრამა რეალიზდება შესაბამისი დეპარტამენტების, საუნივერსიტეტო კლინიკებისა და პროფილურ დაწესებულებათა ბაზებზე, რომლებიც ფლობენ რესურსს აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად.

დასაქმების სფეროები

კურსდამთავრებულთა დასაქმების არეალი ფართოა და მოიცავს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სამსახურს, საკუთრების სხვადასხვა ფორმის სამედიცინო, სამეცნიერო-კვლევით და სხვა დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასთან, მათ მომსახურებასთან, მართვასთან და პრევენციული ღონისძიებების გატარებასთან.